ფინანსური ანგარიშგება

შპს "ხარება" (ს/ნ405132725)

2023 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ლარი			
აქტივები		**2023**	**2,022**	**2021**
გრელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	4,471,934	4,700,174	5,523,046
ბიოლოგიური აქტივები	8	3,247,604	3,247,604	1,762,873
სხვა არამატერიალური აქტივები	8	3,000	3,000	3,000
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
სულ გრძელვადიანი აქტივები		**7,722,538**	7,950,778	**7,288,919**
მიმდინარე აქტივები				
მარაგები		615,636	666,237	545,259
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	837,719	1,230,928	268,771
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6	75	808,694	1,131,948
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	7	614,896	21,701	167,897
სხვა მოკლევადიანი აქტივები		-		
სულ მიმდინარე აქტივები		**2,068,326**	**2,727,560**	**2,113,875**
სულ აქტივები		**9,790,864**	**10,678,338**	9,402,793.78
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		-		
საკუთარი კაპიტალი		-		
კაპიტალი		7,620,592	11,456,600	11,456,600
დაგროვილი ზარალი	-	4,504,890	(7,337,604)	**(7,087,088)**
არამაკონტროლებელი წილი				
სულ საკუთარი კაპიტალი		**3,115,701**	**4,118,996**	**4,369,512**
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		6,124,844	5,966,455	4,873,646
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,124,844	5,966,455	**4,873,646**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	814,753	783,041	216,812
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	9	-	-	142,862
საგადასახადო ვალდებულებები	-	265,239	(190,153)	(201,408)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9	804	-	1,370
სულ მიმდინარე ვალდებულებები		550,319	592,887	**159,636**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		9,790,864	10,678,338	9,402,793.78
		-	-	

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 30 სექტემბერი 2024 წელი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 7-16 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები	**31/12/2023**	**31/12/2022**
ნეტო ამონაგები	**1,770,168**	**3,384,197**
საქონლის გაყიდვიდან	330,396	917,418
მომსახურების გაწევიდან	857,072	-
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	451,047	737,824
სხვა	131,653	1,728,955
გაყიდვების თვითღირებულება	**(499,006)**	**(1,041,394)**
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	**1,271,161**	**2,342,803**
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	969,861
დასაქმებულთა ანაზღაურება	(1,121,909)	(1,379,911)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(271,316)	(303,287)
საპროცენტო შემოსავალი	8,500	3,168
საპროცენტო ხარჯი	(402,067)	(293,675)
იჯარის ხარჯი	(203,112)	(153,916)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(732,758)	(2,017,032)
სულ საოპერაციო ხარჯები	**(2,722,662)**	**(3,174,792)**
საოპერაციო მოგება	**(1,451,501)**	**(831,989)**
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	4,489	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		-
მიღებული დივიდენდები		-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	443,717	782,881.0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	**(1,003,295)**	**(49,108.0)**
მოგების გადასახადის ხარჯი		-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	**(1,003,295)**	**(49,108.0)**
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენ		-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	(1,003,295)	(49,108.0)
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4,118,996	4,168,104.0
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალ		-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		-
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**3,115,701**	4,118,996.0

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	**31/12/2023**	**31/12/2022**
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(2,056,160)	(2,204,124)
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	(1,197,957)	(1,857,374)
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	2,445,498	3,738,244
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	(808,619)	(323,254)
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	808,694	1,131,948
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	**75**	**808,694**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იყოს 7-16 გვერდებზე წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან ერთად

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ხარება" (კომპანია) დაარსდა 2015 წელს და დაარსების დღიდან დღემდე აწარმოებს სოფლის შერეულ მეურნეობას, კერძოდ: კენკროვანი კულტურების მოყვანას, თაფლის ამოღებას (საკუთარი ფუტკრების ოჯახებიდან) და სხვადასხვა ხვნა-თესვის სამუშაოებს, ასევე შპს "ხარება" ეწევა მომსახურებას სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ტექნიკების გაქირავებათ.

შპს "ხარება"-ს 100%-ის წილის მფლობელი:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეღვინეობა ხარება.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი - საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, მე-6 კილომეტრი

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდეგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენების ზოგადი პირობები

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

თავად კომპანიას არ წარუდგენია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარისგება გარე მომხმარებლებისათვის წინა პერიოდებში, შესაბამისად ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს მსს ფასს სტანდარტების შესაბამის პირველ ფინანსურ ანგარისგებას. კომპანიამ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოიყენა ფასს 1 *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება.*

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.7020 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.8844; 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 2.9753;2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.5040; 2020 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.2766 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 4.0233;

2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766, ერთი ევრო 3.0701; 2017 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.5922 ლარი, ერთი ევრო 3.1044). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით.

თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

- ოფისის დანადგარები, და ავეჯი– 5 წელი
- შენობა – ნაგებობა – 20 წელი
- მძიმე ტექნიკა – 20 წელი
- სხვა აღჭურვილობა – 15 წელი
- ავტოტრანსპორტი – 10 წელი
- მიწა – 0
- დაუმთავრებელი მშენებლობა – 0

3.4 ფინანსური ინსტრუმენტები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.4.1. ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთროული განხორციელების შესახებ.

3.5 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივევს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.7 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა

ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 *მოგებიდან გადასახადებით* არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.8 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება სოფლის მეურნეობისა და მძიმე ტექნიკის გაქირავებისგან.

3.9 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე აერთიანებს ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

4 რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	**2023**	**2022**	**2021**
თაფლი	35,278	95,566	18,110
სიმინდი	120,920	415,545	85,209
ტყემალი		473	
ძირითადი საშუალების რეალიზაცია	162,564	377,409	13,496
შხამ-ქიმიკატები		-	1,780
ჩამოწერილი საქონელი			79
უსასყიდლოდ მიწოდება		623	6,366
პარკოსნები		-	606
მოცვი	180,245	151,779	85,989
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	499,006	1,041,394	211,635

5 ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022	2021
მომსახურების ხარჯი	23,880	-	510
სოციალური დანარიცხები		18,857	21,993
მივლინების ხარჯები		2,978	305
დაზღვევის ხარჯი	13,403	21,611	24,355
რემონტი მანქანების	227,694	365,822	375,319
საწვავის ხარჯები	141,007	421,192	238,903
საკონსულტაციო ხარჯები		-	-
ოჯარა- მძიმე ტექნიკა	234,682	248,059	131,643
მიწის დამუშავების ხარჯი	6,780	-	-
მიწის აზომვითი ნახაზების ხარჯი		-	-
ნიადაგის ანალიზი / გეოლოგიური კვლევის ხარჯი	403	-	3,992
თესლი		-	-
მომსახურეობის ხარჯები	3,476	14,079	22,120
ვალდებულებით აღებული მიწები-გურიფული ვიქტორია 2012		259,526	148,868
მომსახურებები		142,727	196,790
ცაიშის მიწა		5,895	47,649
ზემო ჭალადიდის მიწები		36,407	
მომსახურება-როდინაული, ბარდუბანის მიწები		131,224	253,864
სხვა საერთო ხარჯი	81,318	348,072	535,025
ბანკის საკომისიო	115	582	696
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**732,758**	**2,017,032**	**2,002,031**

6 ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები	2023	2022	2021
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	46	46	46
ფული საბანკო ანგარიშებზე	29	808648	1131902
სულ ფულადი სახსრები	75	808,694	**1,131,948**

7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**2023**	**2022**	**2021**
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	837,278	1,230,812	268,668
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	441	116	103
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	614,896	21,701	167,897
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,452,615**	**1,254,651**	**436,667**

8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	
2021 წლის 1 იანვარი	7,312,762
შეძენა	1,279,843
გასვლა	(85,947)
2021 წლის 31 დეკემბერი	**8,506,658**
აკუმულირებული ცვეთა	
2021 წლის 31 დეკემბერი	(280,749)
თვითღირებულება	
2022 წლის 1 იანვარი	8,506,658
შეძენა	1,352,667
გასვლა	638,976
2022 წლის 31 დეკემბერი	**9,220,348**
აკუმულირებული ცვეთა	
2022 წლის 31 დეკემბერი	(303,287)
თვითღირებულება	
2023 წლის 1 იანვარი	7,950,778
შეძენა	264,170
გასვლა	492,411
2023 წლის 31 დეკემბერი	**7,722,538**
აკუმულირებული ცვეთა	
2023 წლის 31 დეკემბერი	(269,197)

9 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2023	2022	2021
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	814,753	783,041	216,812
მიღებული ავანსები			142,862
მომსახურებები ფიზიკურ პირებთან	804		1,370
საგადასახადო ვალდებულებები	(265,239)	(190,153)	(201,407)
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**550,319**	**592,887**	**159,637**

10 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენს მისი დამფუძნებელი და ძირითადი ხელმძღვანელობა.

10.1 საკონტროლო ურთიერთობები

შპს "ხარება"-ს 100%-ის წილის მფლობელი:

- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მეღვინეობა ხარება.

11 გაუთვალისწინებელი გარემოებები

11.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განიცდის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლება, ცენტალიზებული ეკონომიკის, რეგიონალურ არასტაბილურობასა და საერთაშორისო ეკონომიკურ კრიზისთან ერთად, ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონეა.

იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. ეროვნული

ვალუტის დამატებითი გაუფასურება იწვევს იმპორტირებულ საქონელზე ფასების ზრდას. არსებობს გაურკვევლობა მნიშვნელოვანი მოცულობის პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მოზიდვისა. ამ და სხვა გარემოებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ გაურკვევლობაში ჩართული რიგი ცვლადები და ვარაუდები, მენეჯმენტს არ შეუძლია გააკეთოს სანდო შეფასება, თუ კომპანიის რომელ აქტივებსა და ვალდებულებებზე ექნება გავლენა.

მენეჯმენტს სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

11.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანიას დაზღვეული აქვს პროფესიული საქმიანობა და აგრეთვე აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს საწყობის და მარაგების დაზღვევის მიმართულებით, რითაც მნიშვნელოვნად შეამცირებს რისკებს, რომ ზარალი ან აქტივების დაზიანება მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

11.3 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვალებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინტერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანობსა და იურისდიქციებში. გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მკაცრ ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

11.4 გარემოს დაცვა

საქართველოში გარემოსდაცვითი კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და შესაძლოა კანონმდებლობაში არსებობდეს გარკვეული ცვლილებები, რომელიც შეიძლება იყოს დაკავშირებული კომპანიის საქმიანობასთან. თუმცა მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით და მიიჩნევს, რომ კომპანიას არ გააჩნია არსებითი მიმდინარე გარემოსდაცვითი ვალდებულებები და მოსალოდნელი არ არის, რომ მომავალში წარმოიქმნება არსებითი გარემოსდაცვითი ვალდებულებები.

12 მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

მსოფლიოსა და საქართველოში კოვიდ-19-ის გავრცელებამ, უარყოფითად იმოქმედა კომპანიის გეგმებზე, რადგან პანდემიის გამო ქვეყანაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, როდესაც გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა და დაიკეტა ქალაქები, ასევე აიკრძალა ყველა სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა, შეფერხდა კომპანიის სერვისზე მოთხოვნაც. ამ ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, აღნიშნული მოვლენა გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან კომპანია იმყოფება ფინანსურად სტაბილურ მდგომარეობაში.

კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეული ეკონომიკური შოკი და მომავალში პანდემიის განვითარების მოლოდინი, გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკაზე, რაც უკვე აისახა სავალუტო ბაზრის ცვალებადობაზე.

მიუხედავად მრავალი გაურკვევლობისა, ეროვნული ბანკი აგრძელებს ინტენსიურ მუშაობას, რათა შემცირდეს ნეგატიური გავლენა მოქალაქეებსა და კომპანიებზე.

ამ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დღეს გაცვლითი კურსი იყო **2.6894**

სხვა პერიოდის შემდგომი მოვლენა არ მომხდარა, რომელიც მოითხოვს აღიარებას ან გამჟღავნებას ფინანსურ აგნარიშგბეაში.

13 ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორთა საბჭომ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 30 სექტემბერს.